

საქრპიელი

ქართული
ბიზნისი


საორტული გაზეთი ოთხშაბათი 18 ივნისი 2008 №138 (3362)

ფასი 50 თეთრი

საფრანგებზე OUT

საქრპიელი
ბიზნისი

**წაიძვ და, გუფონისბან
ანოდ ვებრუი დიდი
აბაჰვი მოსდება, პირდო
სავეოთხედ ფინალო
გოლს გაიტანს**



**და, რა თქმა უნდა,
მადლოება ჰოლანდიას**



ჰოლანდია ფეირ პლეის გუნდია, იბრძოლა და მოიგო

რეკორდი სოხელთან დინამოში მამარცხანა ბოსნიელი ჩამოვიდა



საპარტიველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამოში“ ახალი მწვრთნელი ხომ დანიშნა და ავერ, პირველი ახალი ფეხბურთელიც ის-

ტუმრა. გუშინ „დინამოს“ 25 წლის ბოსნიელმა ამირ რეკიმა ჩამოაკითხა და გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც. რეკიმი მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობს და ახლა რაინერ ცობელისთვის თავის მოწონებას ეცდება.

ამირ რეკიმის ბოლო ორი გუნდი „ზეზედ-გრადაცი“ და „სლობოდატუზლა“ იყო, ერთი პერიოდის ბოსნია ჰერცეგოვინის ნაკრებშიც გამოიძახეს და დღესაც ეროვნული გუნდის კანდიდატია.

ენახოთ რა გამოუვა რეკიმს ცობელის „დინამოში“. აქვე კი შეგახსენებთ, რომ დღემდე უპრინის გუნდში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური სწორედ მარცხენა მცველის პოზიცია იყო და საამისოდ

თბილისელებმა ჩეხი რომან დობეშიც ჩამოიყვანეს. დობეშიმა კი ვერ გაამართლა და ჩემპიონატის ბოლო რამდენიმე მატჩი სათადარიგოთა შორის გაატარა.

სეზონი დამთავრა და დობეშიმ კონტრაქტიც დაუმთავრდა, რისი გაგრძელებაც დინამოელებმა აღარ ისურვეს.

ამირ რეკიმი „დინამოში“ რამდენიმე დღე ივარჯიშებს და შესაძლოა, რაინერ ცობელმა ის ვერმანულ შეკრებაზეც წაიყვანოს. ბოსნიელი ფეხბურთელის გარდა კი „დინამო“ კიდევ რამდენიმე უცხოელს ელის და მერე მათგან საუკეთესოს, ალბათ, კონტრაქტსაც გაუფორმებს.

კობა ინასარიძე



დავით იმედაშვილი

ვასილ გიგიაძე ამერიკელებს გაეყარა

სიფეროპოლის „ტავრია“ ავსტრიულ შეკრებაზე გაემგზავრა.

სიაში მხოლოდ ერთი ქართველი ფეხბურთელია — ვასილ გიგიაძე. გეკოლინებათ, ყირიმულ კლუბში ამერელები, გრივოლ დოლიძე და თენგიზ ჩიკვილაძე ისინჯებოდნენ და რამდენიმე ტესტ-მატჩშიც ითამაშეს. საბოლოოდ სიმფეროპოლელთა მწვრთნელმა ქართველი ფეხბურთელების აყვანაზე უარი თქვა და ავსტრიაში არ იახლა.

გიგიაძემ კი კლუბთან ახლახან გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი. ჯერჯერობით გაურკვეველია კიევის „არსენალისა“ და გიორგი დემეტრადის ურთიერთობა. ქართველ ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი ამოეწურა. ჩვენებურმა მოსამზადებელი პერიოდი გუნდთან ერთად კი განაახლა, მაგრამ გაგრძელება თუ არა მათი ურთიერთობა, უცნობია. ამასობაში „არსენალმა“ ამხანაგური მატჩი გამართა კიევის „დინამოსთან“ და 0:5 წააგო. დემეტრადეს არ უთამაშია.

კიევის „დინამოს“ მეორე გუნდში მეორედ ითამაშა დავით იმედაშვილმა და ისევ შეცვლაზე, თუმცა ამჯერად ორჯერ მეტი დრო გაატარა მოედანზე — 20 წუთი. მისი „დინამო-2“ კი 0:2 დამარცხდა ჩერნიგოვის „დესნასთან“.

მიხეილ შორაშოლიანი

ადამია ინტერტოტოზე: ქომაგს გაპასხარებთ

აზერბაიჯანული „ნეფთჩი“ ინტერტოტოს გათამაშებისთვის ემზადება და გაძლიერებასაც აპირებს.

ბაქოში უკვე ჩავიდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე, თუმცა მისი აზერბაიჯანული ვიზიტი მაინცდამაინც შედეგის გარეშე გამოდგა — ჩვენებურმა პირველივე საკონტროლო მატჩში ტრავმა მიიღო.

„ნეფთჩიმ“ საკონტროლო მატჩი თანაქალაქელ „ოლიმპთან“ გამართა და 5:2 დაამარცხა. ჭელიძემ სასტარტოში დაიწყო თამაში, შესვენებისას კი ტრავმის გამო შეცვალეს. სამაგიეროდ, თავი გამოიჩინა „მველმა“ ბაქოელმა გიორგი ადამიამ, რომელმაც ამ მატჩში დუბლი შესრულა.

„ნეფთჩი“ ინტერტოტოზე სლოვაკურ „ნიტრას“ შეხვდება და ადამიას ამ ბარიერის გადალახვა სურს: „ახალწვეულებმა ადაპტაცია უკვე გაიარეს. მართალია, მეტოქეზე არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ, მაგრამ ვფიქრობ, გულშემატკივართა გახარებას შევძლებთ“ — თქვა ადამიამ.

ერთი აზერბაიჯანულ-ქართული



ამბაკ ავდამის „ყარაბახიდან“ დათხოვნილი გიგა ბერაია მომავალი სეზონიდან „გაბალაში“ ითამაშებს.

მიხეილ შორაშოლიანი

იმერეთის ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი **იური ჯანელიძე** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი **იური ჯანელიძე** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

რევიზილი რუბინს ავსტრიაში დაუბრუნდა

სანბრძლივი პაუზის შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა საქართველოს ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი.

ტრავმით გამოწვეული ნახევარწლიანი უქმობის შემდეგ რევიშვილი ისევ ყაზანის „რუბინშია“. პირველად კარში მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში ჩაიღმა, შეხვედრა შეუცვლელად და გოლგაუშვებლად ჩაატარა. საპირისპირო კარში კი მისმა თანაგუნდელებმა ორი ბურთი გაიტანეს, თუმცა ქართველებს არანაირი წვლილი არ მიუძღვით.

ცნობისთვის: ლაშა სალუქვაძემ საწყისი 60 წუთი ითამაშა, დავით კვიციანი — ერთი ტაიმი.

ერთიც: ეს შეხვედრა ავსტრიაში გაიმართა, სადაც ორივე გუნდი შეკრებას გადის.

ავსტრიაშია შეკრებაზე ლევან გვაზავას „ლუჩენე-რეაიცი“, რომელიც ამხანაგურად მეორე ლიგის „ვილბახს“ გაეჯიბრა და 2:0 მოუგო. გვაზავამ პირველი ტაიმი ითამაშა, შესვენებაზე მწვრთნელმა ბორან ვულიჩმა კი მთელი გუნდი შეცვალა.

მიხეილ შორაშოლიანი

ავიასიას დაბრუნებული



— ბოლო პერიოდში უმუშევრად არ ვყოფილვარ, მაგრამ მწვრთნელობისკენ გამიწია გულმა და ასე ვთქვათ, „დიდ ავიაციას“ დაუბრუნდი — გვითხრა კორდალიძემ — ფეხბურთის კათედრის გამგე ვარ სპორტის აკადემიაში და ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ჩემ-

პიონის“ დირექტორიც გახლავართ.

— „სიონში“ თქვენი თანამუშევრები გიორგი ყიფშიძე იქნება?

— დიახ.

— შემადგენლობა კი საკმაოდ შეცვლილი დაგხვდება...

— ახლა სწორედ ამ საკითხზე მიდის მუშაობა — ვინ დარჩება

საბოლოოდ გადაწყდა: ბოლნისის „სიონის“ მთავარ მწვრთნელად ოთარ კორდალიძე დაინიშნა. იგი სულ მალე შეუდგება მუშაობას, თუმცა როგორ კონტიგენტთან, ჯერ უცნობია. საქმე ისაა, რომ „სიონი“ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, მალე მათ გზას სხვებიც დაადგებიან და „სიონს“ საკმაოდ სახეშეცვლილს ვიხილავთ.

კორდალიძე ბოლოს მწვრთნელად თელავის „კახეთში“ მუშაობდა და ამ გუნდის შესაძლებლობების კვალობაზე, ნორმალური შედეგით ჰქონდა.

გუნდში და ვინ წავა. სულ მცირე, ოთხ ფეხბურთელს დავიმატებთ, თუმცა ჯერ კონკრეტულად მეც არ ვიცი მათი გვარები.

— ვარჯიშს როდის იწყებს „სიონი“?

— ზეგ ბოლნისში დაიწყებთ. მერე კი ტესტ-თამაშებიც გვექნება.

მახაჩყალის „ანჟი“
 „მეტალურგ-კუზბასთან“
 სტუმრად 1:1 ითამაშა და
 ამ მატჩში დაღესტანელთა
 შვიდივე ქართველმა
 ითამაშა. ვალერი აბრამი-
 ძე, გიორგი ნავალოვსკი
 და მიხეილ აშვეთია შეუც-
 ვლელად იყვნენ მინდო-
 რზე. ძირითადში დაიწყეს
 მალხაზ არზიანმა და გორჩა
 ხოჯავამაც, თუმც არზიან-
 ნი მე-80 წუთზე შეცვა-
 ლეს, 53-ეზე კი ხოჯავას
 ნაცვლად რევაზ ჯიქია
 შევიდა მინდორზე. რაც
 შეეხება რევაზ ბარაბაძეს,
 მან ბოლო 18 წუთი დაჰყო
 მოედანზე.
 ომარ თეთრაძის განვრთ-
 ნილი „ანჟი“ რუსეთის
 პირველ დივიზიონში
 მესამე ადგილზეა.
 აქვე მცირე შემოკლებით
 გთავაზობთ საინტერესო
 ინტერვიუს, რომელიც
 ვალერი აბრამიძის
 ერთ-ერთმა რუსულმა
 ვებგვერდმა ჩამოართვა.



ქართველი პოლიარნიე ზორიდან

— „ანჟის“ საქართველოს ნაკრების ფილიალსაც ეძახიან. ომარ თეთრაძე თბილისშია დაბადებული, სულ კი გუნდში 7 ქართველი ზარტ...
 — დაიხ, ბევრი ქართველი ვართ და „ანჟიში“ ჩემი გადასვლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ესეც იყო. ეგაა, განაცხადში მე, როგორც რუსი, ისე შევიღვარე. შარშან რუსეთის მოქალაქეობა მივიღე.
 — მოსკოვში მცხოვრებელ ითვლებით?
 — არა, პოლიარნიე ზორის. დედისთან ვარ ჩაწერილი.
 — იქ როდესმე ყოფილხართ?
 — რა თქმა უნდა. ზორიში პირველად ბავშვობაში ვიყავი, შარშან, პასპორტის ასაღებად გავეფრინდი. ეს სერიოზული პროცესია, რუსეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგაშიც შემამოწმეს, რათა იგივე არ დამმართნოდა, რაც ძმებ ჯვლაძეებს დაემართათ „სოლოვიკში“.
 — ესე იგი, საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლება აღარ გაქვთ?
 — ასე გამოდის. თუმც ბოლო წლებში ისედაც არ მაქცევდნენ ყურადღებას საქართველოს ნაკრების მწვრთნელები.
 — რატომ?
 — ალბათ, იმიტომ, რომ აზერბაიჯანში ვთამაშობდი. იქ ორჯერ გავხდი ჩემპიონი — „ნეფთჩიში“ და „ხაზარში“. საერთოდაც, არ ვნა-

ნობ, რომ აზერბაიჯანში ვითამაშე, ჩემი ოქროს წლები იყო.
 — მოსკოვის „სპარტაკში“ იყავით, იქიდან წასვლის შემდეგ კი ჩრდილში მოექცით...
 — „სპარტაკი“ დიდი, სახალხო გუნდია. იცით, მე ბევრი მეგობარი მყავს რუსეთის სხვა გუნდებში, თუმც მათ ისე კარგად არ იცნობდნენ, როგორც მე. ეს იმიტომ, რომ „სპარტაკის“ ფეხბურთელი ვიყავი.
 — არადა, „სპარტაკისთვის“ ცუდი პერიოდი იყო, ალბათ, უცუდედსაც კი ბოლო 30 წლის განმავლობაში...
 — მართალია. ყველაზე ცუდად ჩემპიონთა ლიგის ის ჯგუფური ეტაპი მახსენდება, სადაც ექვსივე მატჩი წავაგეთ და ბურთების საშინელი შეფარდება გვექონდა. თუმც გაიხსენეთ, პარფიონოვს ხანგრძლივი ტრავმა ჰქონდა, დაშავებული იყო ივორ ტიტოვიც, ივორ ცინხეისტრუკი და დიმიტრი სიჩოვი გაყიდეს. დიდებიდან საშა პავლენკოდა დარჩა — ის ახლაც კლასიანი ფეხბურთელი, მაგრამ მაშინ 17 წლისა იყო.
 — თამაშის ხარისხით „ანჟი“ პირველ დივიზიონში საუკეთესოა?
 — კარგი მწვრთნელები გვყავს. ომარ თეთრაძეც და არტურ პავაევიც თავის დროზე მაღალ დონის ფეხბურთის თამაშობდნენ. და როცა ისინი ვარჯიშზე თითქოს პატარა დეტალს სერიოზულად იხი-

ლავენ, ვხვდები — იციან და იმიტომ.
 — მახაჩყალა თავისებური ქალაქია...
 — ქართველები, დაღესტანში კარგად ვცხოვრობთ. კარგი გუნდი გვყავს, გულშემატკივრებიც მხარს გვიჭერენ. სასიამოვნოა „ანჟიში“ თამაში.
 — კასპის ზღვაში გიცურავით?
 — ჩვენი ბაზა ზღვისპირზეა. შარშან რეგულარულად ვცურავდით, წლებულს კი ჯერ ვერა — წყალი ჯერ მაინც ცივია.
 — სახლში, თბილისში ხშირად ჩადიხართ?
 — როცა დრო მაქვს. კარგია, რომ მოსკოვ-თბილისის რეისი გახსნეს, თორემ ადრე მახაჩყალიდან ბაქოში მანქანით მივდიოდი და 500 კილომეტრს ვფარავდი, ბაქოდან კი თვითმფრინავით თბილისში — 40 წუთი მიხდებოდა ფრენა.
 — რუსულ პრემიერლიგაში არცთუ ცოტა ქართველია. რომელ მათგანთან ინარჩუნებ ურთიერთობას?
 — მალხაზ ასათიანთან. ჩვენ დიდი მეგობრები ვართ. როცა მოსკოვში ჩავდივარ, სულ ვნახულობ. მოსკოვი თავისი ცხოვრების ტემპით ძალიან მიზიდავს. ალბათ, კარიერის დასრულების შემდეგ სწორედ მოსკოვში ვიცხოვრებ.

ილია ნანოზაშვილი

მანჩესტერ ატლანტასი დაიბრუნა



ნუკრი მანჩესტერ „კაუნს“ — „ატლანტასის“ (4:0) მატჩში 55-ე წუთზე გაიტანა, რითაც ანგარიში 2:0 გახდა. ქართველი მარცხენაფლანგელი შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და საერთოდაც, ამ სეზონში კაუნასელთა ლიდერი გახდა.
 „კაუნასის“ მეორე ქართველმა, მცველმა აკაკი ხუბუტიამ ტრავმა კი მოიწინა, მაგრამ ჯერ მაინც არაა ფორმაში და ამიტომაც არ ათამაშეს. ქართველთა გუნდი 11 ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება ლიდერ „სულდუვსს“.

ილია ნანოზაშვილი

განუგრავა და ბოლესლავე

კიდევ ერთი ნელინაღი

ჩახურმა „ბოლესლავემ“ წინასასეზონო ვარჯიში დაიწყო, ფიზიკურად ემზადება მთებში და გიორგი განუგრავაც გუნდთან ერთადაა. 20 წლის ქართველ ნახევარმცველს „ბოლესლავეთან“ ექვსი თვე პლუს ერთწლიანი კონტრაქტი აქვს და აქედან ნახევარი წელიწადი უკვე გავიდა. როგორც გაირკვა, გიორგი „ბოლესლავეში“ დარჩება, ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავი ყოფილა.
 განუგრავამ წინა სეზონის მეორე წრეში სულ ორჯერ ითამაშა „ბოლესლავის“ ძირითად გუნდში, უმეტესად „ბოლესლავე B“-ში ბურთობდა და საკმაოდ კარგადაც — მართალია, ოდენ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ ბლომად საგოლე პასები დააგროვა.
 და რადგან ჩახურ თემაზე ვსაუბრობთ, ყოფილი ამერიელი დიმიტრი ტატანაშვილი თავის ახალ კლუბ „პლზენს“ 23 ივნისს შეუერთდება. შეგახსენებთ, „ტატანამ“ ლუდის ცნობილი ქალაქის კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.



განუგრავა დროულად მზადდება

ილია ნანოზაშვილი

დაპით დევდარიანის თვის ბოლოს ორკუსი


დაპით დევდარიანის დანიურ „ორკუსში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია. თავად ფეხბურთელმა გვითხრა, სავარაუდოდ, თვის ბოლოს ჩავალ დანიაში, მოლაპარაკება შედგება და კონტრაქტსაც ხელს მოვაწერო.
 „არა მგონია, ვასინჯვაზე მიდგეს საქმე. როგორც ვიცი, „ორკუსს“ ჩემი აყვანა სურს და მეც ძალიან მიხარია. დიდი ფეხბურთის სათამაშოდ დანია მშვენიერი ვარიანტია, თან ტრამპლინადაც შემიძლია გამოვიყენო“ — გვითხრა დევდარიანმა, რომელსაც რუსეთის „ოლიმპთან“ ერთწლიანი კონტრაქტი ჰქონდა და დაუსრულდა.
 ნიჭიერი ნახევარმცველი, რომელმაც ჯერ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მოიკიდა ფეხი და 31 მაისს, პორტუგალიაში, ეროვნულ გუნდშიც ჰქონდა დებიუტი, ამჟამად ინდივიდუალურად ვარაუდობს, „ორკუსში“ წასვლამდე კი ალბათ, „ოლიმპთან“ ერთადაც მოემზადება — ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე გვითხრა.
 დევდარიანის „ორკუსში“ გადასვლა ძმებ არველაძეების ფონდის მეშვეობით ხდება. ეს კლუბი დანიაში გრანდთა რიცხვს არ მიეკუთვნება და წინა სეზონიც მეთავე ადგილზე დაასრულა, თუმც ქვეყნის სუპერლიგაში თამაშობს და გავარდნა არ ემუქრება-ხოლმე.

ილია ნანოზაშვილი



დაპით დევდარიანი

ბალახის ხალხი



„ქუინს-კლაბის“ კორტებზე რაფაელ ნადალმა პირველი საბალახო ტიტული მოიპოვა

ერთი ფრანგი ფაბრის სანტორი (ნიუპორტი, 2007) და ესპანელი რაფაელ ნადალი, რომელიც უკანა ხაზიდან აპირებს უიმბლდონის დაპყრობას და რომელმაც თავისი არგუმენტების სიძლიერე წლევეანდელი „ქუინსის“ შეჯიბრზე დაამტკიცა.

ქალებში მოქმედ ჩოგბურთელთაგან ყველაზე წარმატებული „მე-ბალახე“ ვინუს უილიამსია — უფროსმა შვედამ ოთხჯერ (2000-01, 2005, 2007) იმარჯვა უიმბლდონზე. მარია შარაპოვას ანგარიშზე სამი ტიტულია. მაშამ 2004 წელს უიმბლდონი მოიგო, ხოლო 2004-05 წლებში კი ბირმინგემში იპირველა. ორ-ორი საბალახო ტიტული აქვთ სერენა უილიამსსა და ლინდსი დევენპორტს. სერენამ 2002-03 წლებში უიმბლდონზე იმარჯვა, ხოლო ლინდსიმ — 1999 წლის უიმბლდონზე და 2001 წლის ისტბორნის ტურნირზე.

ბალახის კორტებზე თითო გამარჯვება აქვთ მოპოვებული ბერძენ ელენი დანილიდუს (ჰერტოგენბოში, 2002), ავსტრალიელ სერბ ელენა დოკინს (ბირმინგემი, 2002), რუსებს — სვეტლანა კუზნეცოვას (ისტბორნი, 2004) და ვერა ზვონარიოვას (ბირმინგემი, 2006), ჩეხ კლარა კუკალოვას (ჰერტოგენბოში, 2005), პოლანდიელ მიქაელა კრაიჩეკს (ჰერტოგენბოში, 2006), ფრანგ ამელი მორემოს (უიმბლდონი, 2006), სერბ ელენა იანკოვიჩს (ბირმინგემი, 2007) კიდევ ერთ რუს ანა ჩაკვეტაძეს (ჰერტოგენბოში, 2007) და უკრაინელ კატერინა ბონდარენკოს, რომელმაც ახლახანს დასრულებული ბირმინგემის ტურნირზე იპირველა.

ამ დღეებში ბალახის კორტებზე კიდევ ოთხი ტურნირი ტარდება. კაცები ნოტინგემსა და ჰერტოგენბოში თამაშობენ, ხოლო ქალები — იმავე ჰერტოგენბოშსა და ისტბორნში და არ არის გამორიცხული, რომ ბალახისტიტულოსანთა სიას ახალი სახელებიც შეემატოს, თუმც მთავარი მაინც უიმბლდონია და წლის უმთავრესი საბალახო შეჯიბრი კი მოქმედ ჩოგბურთელთაგან, მხოლოდ შვიდს აქვს მოგებული — კაცებში ფედერერსა და ჰიუიტს, ხოლო ქალებში ვინუს და სერენა უილიამსებს, დევენპორტს, შარაპოვასა და მორემოს.

ბალახის სეზონი საჩოგბურთო კალენდარში ყველაზე ხანმოკლეა და რეალურად ოთხ კვირას მოიცავს, თუ უიმბლდონის შემდეგ გასამართ ნიუპორტის (აშშ) კაცთა ტურნირს არ ჩავთვლით, რომელიც ოდენ სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რადგანაც იქ უიმბლდონის პირველ წრეებში დამარცხებული ჩოგბურთელები თამაშობენ ხოლმე.

ბოლო წლების საჩოგბურთო კალენდარში სულ 10 საბალახო ტურნირი: ექვსი კაცების (ჰალე, ქუინსი, ჰერტოგენბოში, ნოტინგემი, უიმბლდონი, ნიუპორტი) და ოთხი ქალების (ბირმინგემი, ჰერტოგენბოში, ისტბორნი, უიმბლდონი).

ბალახის ტურნირებზე სენსაციები იშვიათად ხდება, აქ ჩოგბურთელთა ერთი, გარკვეული ჯგუფის წევრები იმარჯვებენ ხოლმე და მომავალი უიმბლდონის ფავორიტებიც ერთი ხელის თითებზე შეგვიძლია ჩამოვთვალოთ.

სეზონის მესამე და ყველაზე პრესტიჟული, საბალახო სლემტურნირის დაწყებამდე ხუთი დღეა დარჩა და ალბათ უპრიანი იქნება გავიხსენოთ, თუ ვინ იმარჯვებდა ბოლო წლებში ბალახისაფარიან ტურნირებზე.

მოქმედ ჩოგბურთელთაგან, კაცებში ყველაზე მეტი საბალახო ტიტული როჯერ ფედერერს მოეპოვება. დიადმა შვეიცარიელმა თავად უიმბლდონი ხომ ხუთჯერ, თანაც ზედიზედ მოიგო (2003-07) და ასევე ხუთჯერ (2003-06, 2008) იმარჯვა ჰალეშიც, სადაც შარშან ჩასვლა არ ინება, მაგრამ წლეულს ისევ ჩაკითხა გერმანულ ბალახს და უპრობლემოდაც იმარჯვა.

მეორე ადგილზე ექვსი ტიტულით ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტია, რომელმაც 2002 წელს უიმბლდონი მოიგო, 2000-02 და 2006 წლებში ოთხჯერ იმარჯვა „ქუინს-კლაბის“ კორტებზე და მისთვის ტრიუმფალურ 2002 წელს პოლანდიურ ჰერტოგენბოშიც არავის დაუთმო პირველობა.

ოთხი საბალახო ტიტული აქვს

ენდი როდის და თანაც, ამერიკელმა ოთხივე შემთხვევაში ლონდონში, ქუინსის შეჯიბრზე იმარჯვა (2003-05, 2007).

2005-06 წლებში ჰერტოგენბოში მიჯრით ორი ტიტული მოიპოვა ხორვატმა მარიო ანჩიჩმა და პარალელურად, იმავე წლებში, ინგლისურ ნოტინგემში ასევე ორჯერ იმარჯვა ფრანგმა რიშარ გასკემ. 1998 და 2002 წლებში ნოტინგემში ორი ტიტული, აწ უკვე კარიერის დაისისკენ წასულმა შვედმა იონას ბიორკმანმაც მოიპოვა და მეორე შვედმა ვეტერანმა ტომას ოჰანსონმა კი 2001 წელს წვევილად იმარჯვა ჰალესა და ნოტინგემში.

ამათ შემდეგ, უკვე თითოტიტულიანები მოდიან: გერმანელი ნიკოლას კიფერი (ჰალე, 1999), ფრანგი სებასტიენ გროჟანი (ნოტინგემი, 2000), ამერიკელი რობი ჯინერპრი (ნიუპორტი, 2003), ტაილანდელი პარადორნ სრიჩაპანი (ნოტინგემი, 2004), ფრანგი მიშელ ლოდრა (ჰერტოგენბოში, 2004), ჩეხი ტომას ბერდიხი (ჰერტოგენბოში, 2007) და ივო კარლოვიჩი (ნოტინგემი, 2007), კიდევ



როჯერ ფედერერმა ჰალეში უკვე ხუთჯერ მოიგო



მარია შარაპოვას ფოტო

მართაქებისთვის უიმბლდონი დანებებდა დასრულდა

სამართაქლოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის მაკა ჩახნაშვილისთვის ორშაბათს დასაწყები უიმბლდონი გუმინ დასრულდა. მაკამ კერც აძგერად მოახერხა სლემტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრა და საკვალიფიკაციო შეჯიბრის პირველივე წრეში 6:7 3:6 წაავო 24 წლის უკრაინელ ევეგენია სავრანსკისთან, ვისაც WTA-ს მიმდინარე რეიტინგში 244-ე პოზიცია უკავია.

წაავო ირაკლი ლაბაძემაც, ვის გამოჩენასაც წლევეანდელ უიმბლდონზე ნაკლებად ველოდით. 10 წლის წინ ირაკლი უიმბლდონის იუნორთა ტურნირის ფინალში თვით როჯერ ფედერერთან დამარცხდა, ხოლო ორი წლის წინ კვალიფიკაციიდან რომ დაიწყო, მეოთხე წრეს უწია და იქ რაფაელ ნადალთან წაავო.

მას შემდეგ ლაბაძეს ტრავმები აწუხებდა და აი, ისევ გამოჩნდა კორტზე, ოდნოდაც დაბრუნება წარუმატებელი გამოდგა — საკვალიფიკაციო შეჯიბრის პირველივე წრეში 2:6 3:6 დამარცხდა რეიტინგის 138-ე სავსურზე მყოფ 20 წლის ამერიკელ ჯესი ლივანთან.

სუდი და კარბი

მეორე დღე და აზიის გასაყარზე, თურქულ მეგაპოლის სტამბოლში ITF-ის ეგიდით ქალთა 25-ათასიანი ტურნირი ტარდება, რომლის ძირითად ბადეში სამი ქართველი ჩოგბურთელიცაა — სოფო შაფათავა, სოფო ქეცაბაია და მანანა შაფაქიძე.

სამწუხაროდ, ამ სამიდან ერთი, კერძოდ კი შაფაქიძე ძირითადი შეჯიბრის პირველივე დღეს დამარცხდა. მანანამ საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია, მაგრამ რეიტინგში მასზე გაცილებით მაღლა, 374-ე პოზიციაზე მყოფ 19 წლის უზბეკ ვლადა ეკშიბაროვასთან დაძაბულ სამსეტთან მატჩში 3:6 7:6 4:6 დამარცხდა.



უკრაინული ილიჩოვსკის თიხნარზე კი კაცთა შეჯიბრია და პირველ წრეში ნოდარ ითონიშვილმა იოლად, 6:3 6:2 მოუგო ტურნირზე „ვილდ ქარდით“, ანუ ორგანიზატორთა მიწვევით მოთამაშე ურეიტინგო მასპინძელს ვიჩესლავ ლიტვინენკოს.

მეორე წრეში ჩვენებური მესამე ნომრად განთესილ უკრაინელ დენის მოლჩანოვსა და მოლდოველ ანდრეი გუმაცს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ტრადიციული აპიაჩოგბურთი

ლეილა მისის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე 16 ივნისს დაიწყო და 22 ივნისამდე გასტანს „ავსტრიის ავიახაზების თასის“ გათამაშება. შეჯიბრებაში თითხმეტიდან თექვსმეტ წლამდე გოგონები და ბიჭები მონაწილეობენ. ეს საერთაშორისო ტურნირი ტრადიციულ სახეს ატარებს. წლეულს მასში 10 ქვეყნის 150-მდე ჩოგბურთელი თამაშობს. ერთი კვირის განმავლობაში მატჩები დილის ათი საათიდან დაიწყება, კვირის ბოლოს კი გამარჯვებულები გამოვლინდებიან.

ზურაბ მიხრიაული



ვენგერი და მისი რაზმი

10. მარტინ იოლი ბოტენჰეიმი

პოლანდიელი სპეციალისტი „უაით ჰარტ ლინზე“ თავიდან, 2004 წელს, ფრანგი ჟაკ სანტიანის ასისტენტად მივიდა, მაგრამ სულ რაღაც ექვს თვეში მთავარ მწვრთნელად იქცა. იოლის მთავარი ამოცანა ჩრდილოლონდონელი მეზობლისთვის, „არსენალისთვის“ ტოლის არდადება გახლდათ და ორჯერ მართლაც ცოტა დააკლდა პრემიერლიგის ოთხეულამდე, თუმცა ზოგადად, გუნდი გაძლიერდა, რაშიც დიდი როლი დიმიტარ ბერბატოვის ყიდვამ ითამაშა. გასული სეზონის დასაწყისში „ტოტენჰემს“ იოლი გაუშვა, რასაც ფანები ძალიან აპროტესტებდნენ.

9. სვენ გორან ერიქსონი მანჩესტერ სიტი

მართალია, როგორც საბოლოოდ გაირკვა, შვედი „სიტი“ მეპატრონეს ტაქსინ შინავატრას არ მოეწონა, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ვთქვათ, რომ მანჩესტერულ გუნდს ხელი დაატყო. გასულ ზაფხულს ერიქსონმა რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი იყიდა, რომლებმაც სასიკეთო საქმე გააკეთეს: მარტინ პეტროვი, ვედრან კორლუკა და ელანიო. ეს სამეული „სიტი“ ახალ თავკაცს, მარკ ჰიუზს ფრიად წაადგება. და კიდევ, მანჩესტერულ ფანებს „მიდლსბროსთან“ სხვის გახსენებაზე, შესაძლოა, დღემდე აკანკალებთ, მაგრამ, თანაქალაქელ „იუნაიტედთან“ ერიქსონის ხელში ორივე თამაში მოიგეს და ამით ამაყოფნენ.

8. ეტაუდიო რანიერი ჩელსი

რანიერი „ჩელსის“ მწვრთნელის თანამდებობიდან რომან აბრამოვიჩმა მოხსნა და კაცმა რომ თქვას, ოთხწლიანი უშედეგობის

ინგლისური „სანის“ სახალისო რუბრიკა, რომელსაც ჩვენ ქართულად „ათი ყველაზე“ შევარქვით, კვლავ თქვენს წინაშეა. მოგეხსენებათ, ეს ის რუბრიკაა, რომელში გამოთქმულ მოსაზრებებთან დათანხმება სულაც არ არის აუცილებელი და თუ ინგლისურ ფეხბურთში თავადაც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ ამა თუ იმ ათეულის თქვენი ვერსია შეადგინოთ.

დღევანდელი ათეულის იდეა სანელებს „ჩელსის“ თავკაცად ბრაზილიელი ლუიზ ფელიპე სკოლარის დანიშვნამ უკარნახა. მათ დათვალეს, რომ ლონდონელ ლურჯებს ბოლო 12 წელიწადში უკვე მეექვსე უცხოელი მწვრთნელი ჰყავთ და ამას, დღეს და უნინ ინგლისში მოღვაწე ნარმატებული უცხოელების თავიანთი სიაც მოაყოლეს.

შემდეგ მისი დაცვა ძნელი იქნებოდა, მაგრამ სტატისტიკა იტალიელის სასარგებლოდ მეტყველებს: რანიერის პირველ წელიწადს „ჩელსიმ“ თვით „ფსევრზე“ დაბალი ადგილი დაიკავა, მაგრამ მისი სამსახურიდან გაშვების დღეს ლონდონელები პრემიერლიგის მეორე გუნდი იყვნენ და ამასთან, ნება მოგვეცით, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლაც გავიხსენოთ.

7. ხუანდე რამოსი ბოტენჰეიმი

„სფურზი“ რაიმე ჯილდოს ცხრა წელიწადი ელოდა, ხუანდე რამოსმა კი ეს პრობლემა ლონდონში ჩასვლიდან ოთხ თვეში გადაწყვიტა — „მამლებმა“ „ქარლინგის თასი“ მოიგეს. სხვა მხრივ, ესპანელს გუნდის გარდასაქმნელად დიდი დრო არ ჰქონია, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და შეძლებს თუ არა რამოსი „ტოტენჰემ პოთსპურის“ ოთხეულის გუნდად გარდაქმნას, გამოჩნდება.

6. ჯანლუკა ვიალი ჩელსი

როდესაც ჯერ კიდევ აბრამოვიჩის ეპოქამდე ვიალის კარისკენ მიუთითეს, „ჩელსის“ ქამაგებს გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდათ. იტალიელმა „ჩელსი“ 1998-99 წლების სეზონის

შუაში რუდ გულიტისგან ჩაიბარა და „ლურჯებს“ თასების მფლობელთა თასიც მოაგებინა და ლიგის თასიც. ამას, 2000 წელს უთმო იტალიელმა ფეხბურთის ასოციაციისა და ევროპის სუპერთასებიც დაამატა.

5. ავრამ გრანტი ჩელსი

ეს გახლდათ „ჩელსის“ ისტორიაში მოიყვანე-გააგდეს მორიგი შემთხვევა. სექტემბერში, ჟოზე მურინიუს ნაცვლად დანიშნულ ებრაელ სპეციალისტს დაუყოვნებლივ დაატყდა კრიტიკის კორიანტელი, მაგრამ გრანტმა მაინც შეძლო მოწინააღმდეგეთა გაჩუმება, რადგან პრემიერლიგაში ტიტულისთვის ბოლო დღემდე იბრძოლა და საბოლოოდ, როგორც აქ ასევე ჩემპიონთა ლიგაში, მეორეობა შეძლო. ჯონ ტერის უიღბლო პენალტი რომ არა, გრანტის გვარის გასწვრივ ჩემპიონთა ლიგის მფლობელი ეწებებოდა.

4. ჟერარ ულიე ლივერპული

ეს ფრანგი კაცი ახალგაზრდობაში ქალაქ ლივერპულში სკოლის მასწავლებელი იყო, 2000-2001 წლებში კი მისი საფეხბურთო კლუბი ფეხბურთის ასოციაციის, ლიგისა და უეფას თასებამდე მიიყვანა. სხვა საქმეა, რომ

მისი შემცველი ფონზე ულიეს შედეგებს აღარავინ იხსენებს.

3. რაფა ბენიტესი ლივერპული

ესპანელს „ლივერპულისთვის“ ძველი დიდების აღდგენა ჰქონდა დავალებული და მანაც საოცარი საქმე გააკეთა, 2005 წელს ჩემპიონთა ლიგაში სრულიად ლეგენდარული გამარჯვება მოიპოვა. „მილანთან“ თამაშის დეტალებს აქ აღარ გავიხსენებთ, ის ყველამ იცის. 2007 წელს ბენიტესის ხელმძღვანელობით „ლივერპული“ კვლავ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, მაგრამ ამჯერად იმავე „მილანთან“ წააგო.



2. ჟოზე მურინიუ ჩელსი


ლუიზ ფელიპე სკოლარის „სტემფორდ ბრიჯზე“, უპირველეს ყოვლისა, პორტუგალიელის აზრდითან მოუწევს კონკურენცია. რომან აბრამოვიჩმა ინგლისის ჩემპიონის ტიტულის მოსაგებად სწორედ მუ მოიყვანა და ის ორჯერ ზედიზედ ჩაიბარა. მისი ხელმძღვანელობით „ჩელსიმ“ ინგლისის თასებიც მოიგო და ლონდონური გუნდის ბევრ ქომავს დღემდე არ ესმის, როგორ შეიძლებოდა ამ კაცის გაშვება.

1. არსენ ვენგერი არსენალი

ეს ფრანგი კაცი ჩრდილოეთ ლონდონში თორმეტი წლის წინ ჩავიდა და „არსენალის“ დიდი ისტორია შექმნა. 1998 წელს ვენგერის ხელმძღვანელობით ლონდონელებმა დუბლი შეასრულეს, რის შემდეგაც კიდევ ორჯერ გახდნენ ინგლისის ჩემპიონები და კიდევ სამჯერ მოიგეს თასი. ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ითამაშა.

ბაკუნა კვიციანი






გიო ახვლედიანის სვეტული როზაშა

რადაც წვიმები შეწყდა. რისი ბრალია, ძნელი სათქმელია. შეიძლება, იმის ბრალიც იყოს, მასპინძლები რომ გამოეთხოვნენ ჩემბონატს. სხვათა შორის, ორივენი ადამიანურად. ერთი მექსიკა მახსოვს ადამიანური მასპინძელი რომ ყოფილა ხოლმე და მეორე კიდევ ესენი. სულ „მუსიკის ჰანგები“ გამახსენდა, ჯული ენდრიუსი რომ თამაშობს და ბავშვებს ამღერებს და აცეკვებს. პოგატეცმა კი იბრძოლა, მაგრამ ასევე მანინმა.

დამთავრდა ეს ამბავი. შვეიცარიას ოტო რეპაველი მოუწვევია მწვრთნელად. ოტომ, ოთხი წლის წინათ ზევსად წოდებულმა, გუდას მოხსნა პირი და თქვა, ჩემზე კარგად არავენ იცის, წლებულს რა ძალის გუნდი მყავდაო. მგონი, ყველამ იცის, რა ძალის გუნდიც ჰყავდა. ვინც



მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებზეც წაიკითხავენ

ვერ უტევს, ვერც იგებს. ერთი ხანობა ფეხბურთში ისეთი ტერიტორიებიც შეინიშნებოდა, სადაც არ უტევდნენ და იგებდნენ. თუმცა, ეს ვერშეტევა არ იყო.

ამათი საუკეთესო წარმომადგენელი ვიქტორ პიცურკას ნაკრებია. ოლონდ, რასაკვირველია არ ვიცი, ამაღამ რა მოხდება. თქვენ უკვე იცით, რადგან გაზეთის პირველ გვერდზე უკვე წერია, იტალიისა და საფრანგეთის ამბავი.

უზიდანობამ საქმე წაახდინა, მგონი, მატერაციც კი ყურებჩამოყრილი დარჩა. საერთოდ, ზიდანის ძალიან აკლია შვეიცარიის და ავსტრიის ქალაქებს. სხვანაირად იქნებოდა საქმე, მაგრამ ზიდანს აღარ იქნება. იმ დღეს უოზე მაურინიუმ თქვა, ჩემბონატს ინგლისელებიც აკლიაო, არა, დიდი კი არაფერიო, მაგრამ რუნი, ჯერარდი და ლამ-

პარდი ვის აწყენდათ. თანაც ინგლისელი ფანებიო.

რასაც ისინი დაღვედნენ და შეჭამდნენ — აშენდებოდა საზღვების ქსელი.

ჩემი გამოცდილებით, ამათ შემდეგ სკანდინავიელები მოდიან, მერე კი გერმანელები.

ამ ჯერზე, სკანდინავიაც მეჩხერადა წარმოდგენილი და ისიც თურქებს იგაყვაცეს, განზე დარჩება. რუსთა თავაკაც გუს ჰილინკი, ეტყობა, დღეის შემდეგაც დარჩება მათ მწვრთნელად. გინდაც გაგარდეს. ჰილინკს ხელალებით არავენ გააგდებს. საერთოდ, არც არის გასაგდები. მეტი რა ქნას. მეტი, საბჭოთა კავშირის მართო კაჩალინის და ლაბანოვსკის ხელში გაუკეთებია. ამ რუსეთში კი იმის ნახევარი გაქანების ფეხბურთელებიც არ არიან, იმათ რომ ჰყავდათ.

მგონი, მოსაწყენად ვწერ. ეს კი იმის ბრალია, რომ მიხაელ ბალაკმა ჯარიმა თხლიშა და ავსტრიული დიდგორი არ გამოვიდა.

მე თუ მკითხავთ, გერმანიის ნაკრებს არანაირი სიღრმე და აღმაფრენა არ ეტყობა. აჰა, ბარემ საბოლოოდ ჩამოლაგდეს მეოთხედფინალები და მერე ვიმარჩიელოთ. ოთხივე მეოთხედფინალი ისედაც მკვლეელი გამოდის. კულტურულად დალაგებული ამბავია.

ინგლისურმა მედიამ კი, რახან თავისი არაფერი აქვს ამ ჩემბონატზე, მეტად სახალისო რამეებს მიაქცია ყურადღება. ამათ შორის საუცხოო ლეო ბენჰაკერის გამონათქვამია, ეგებ ვთხოვო ჩემს ძველ მეგობარს, სლავენ ბილიჩს, რომ თავდასხმაში თავისი სიღრმე ათამაშოსო.

ჩვენ კი ივან კლასნიჩი დავაფასოთ, ამ კაცმა შარშან თირკმელი გადაინერგა და მისთვის ყოველი მატჩი მართლა ცეცხლთან თამაშია. ერთი იდაყვი ფერდში და ბიჭი მოკვდება. კლასნიჩს საგანგებო კორსეტი კი უკეთია, მაგრამ... ჰოდა, მან გოლი გაიტანა. სიღრმის მაგივრად ეს ამბავი იყო.


აი, ასეთი ამბებიც ხდება.

გუსს რომ მივუბრუნდეთ, რუსებისთვის რუსულადვე უგინებია პირველი თამაშის შემდეგ და პავლიუჩენკო ამბობს, ბევრზე იმოქმედაო. ჰოდა, ვინ გაუშვებს. უკვე რუსულადაც აგინებს რუსებს. და მანც, თუ ლარს ლაგერბეკი არ გაიხლართა თავის ციფრებსა და ნახაზებში, მაშინ...

ისე, მთელი ეს ბილიჩები, პიცურკები და სხვა ბიჭები ობამას ჰგავს ბარაკ ობამას.

მგონი, კაპელი ვერ უშველის ინგლისელებს.

ჩვენც ობამა ხომ არ დაგვენიშნა მწვრთნელად?



ფათიბ თერიზი

ასლანეზი მათი სანასკვლოდ

მსაჯი პეტერ ფროიდფელდტი მართალი იყო, მოედინიდან თურქეთის ნაკრების მეკარე ვოლქან დემირელი რომ გააძევა! — არ გვეგონოთ ამ სიტყვებს ჩვენ ვამბობდეთ, ეს საკუთრივ მისი მწვრთნელის, ფათიბ თერიზის სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ ვოლქანი ჩეხეთისა და თურქეთის A ჯგუფის დრამატული თამაშის ბოლოს, მსაჯის წამატებული დროის მეორე წუთზე გააძევეს. მიზეზი: მან ჩეხ თავდამსხმელ იან კოლერს არასათამაშო სიტუაციაში ხელი ჰკრა. ჩვეულებრივ რომ ვთქვათ, იძიებოდა.

ორიოდ სიტყვით თავად იმ თამაშში დატრიალებული საოცარი ამბები გავიხსენოთ: 62-ე წუთისთვის ჩეხები თურქებს 2:0-ს უგებდნენ და, ბუნებრივია, საქმე ყველას მოთავებული ეგონა, მაგრამ გმირულად შემართულმა თურქებმა თამაშის მიწურულს სამი გოლი გაიტანეს და ჩეხები შინისკენ გააგზავრეს, თავად კი მეოთხედფინალში არიან, სადაც ხორვატიის ნაკრებს ელიან.

„თამაშის დამთავრებამდე წუთებია რჩებოდა, ასე რომ, იმას, რაც ვოლქანმა გააკეთა, ვერაფრით გავემართლებ — უთხრა თერიზმა ჟურნალისტებს — რა მოხდა ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ზუსტად ვიცი ის, რომ ჩვენი მეკარე სწორად არ მოიქცა. მსაჯი ცამდე მართალი იყო, ის მოედინიდან რომ გააგდო“.

ასე და ამგვარად, მეოთხედფინალში, ვენის „ერნსტ ჰაპელზე“, თურქეთის ეროვნული გუნდი ხორვატებს ძირითადი მეკარის გარეშე შეებმებოდა. მის გარდა არ იქნება მეტეო აურელიოც, რომელმაც იმ დღეს მეორე ყვითელი მიიღო და თამაში უნდა გამოტოვოს. რაც შეეხება დამაჯებულთა სიას, მასში არიან ცენტრალური მცველი ემრე გუნგორი, რომელმაც ჩეხებთან შეხვედრაში, როგორც ირკვევა, კოჭი დაიზიანა და ზანი, რომლის ამბავი მანამდეც ვიცოდით.

თერიზი: „რა გაეწყობა, ჩვენ გვყავს დისკვალიფიცირებული და დაშავებული ფეხბურთელები, მაგრამ მათ გარდა ჩვენ გვყავს ლომები (თურქულად ასლან), რომელთაც მათი ადგილის დაკავება შეუძლიათ. ჩვენ საკუთარი ძალებისა ურყევად გვწამს და ყოველ მომდევნო დღეს უკეთესობას ვგრძნობთ“.

„მილანისა“ და „ფიორენტინას“ ყოფილმა მწვრთნელმა ჟურნალისტებს უამბო, რომ ჩეხებთან მატჩის მსვლელობისას წამითაც არ დაუკარგავს იმედი, რომ საბოლოოდ ყველაფერი მისი გუნდის სასარგებლოდ შემოტრიალდებოდა.

„მთელი კარიერის განმავლობაში დანებებაზე ერთხელაც არ მიფიქრია. მე იმ ადამიანთა კატეგორიას განვეკუთვნები, იმედს არასდროს რომ კარგავენ. შესაბამისად, ბედნიერი ვარ, ასეთივე თვისების მქონე გუნდის მწვრთნელი რომ ვარ. ჩემს გუნდს სწამს, რომ თამაში მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენთან ერთად მთავრდება. ბოლო წუთზე უამრავი რამ მინახავს. ზოგჯერ ეს ჩვენს სასარგებლოდ იყო, ზოგჯერ მეტოქის სასარგებლოდ, მაგრამ ფეხბურთი სწორედ ამით არის მშვენიერი“.

ბაკუნა კედი

euro_fan_2008@yahoo.com



ტოტალიზატორი

1X2 აფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წვეილი შედეგი კოფ-ტა სისტ — ორი დღეა, აპორნი ზაშიტნიკივით დაერბივარ. მოგებულ მაყუთს არ გამოდის ტოტალიზატორი, ტო!


კუში კონზერვა

ჩემი ბილეთი: 001 რუსეთი-შვედეთი შედეგი: მეორე ტაიმში ჰოკეიზე გადავლენ

114140 *

გუს ჰიდინკი: გაასილეთი თვალები

გამოცდილი და ტიტულოვანი ჰოლანდიელი მწვრთნელი გუს ჰიდინკი კიდევ ერთ წარმატებასთანაა ახლოს, თუკი მისი თავკაცობით მოთამაშე რუსეთის ნაკრები დღეს ინსბრუკში შვედეთს მოუგებს და ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავა, სადაც, სხვათა შორის, ჰოლანდიას გადაეყრება...



ინსბრუკი რუსული სპორტისთვის ძალიან წარმატებული ადგილია, აქ ჰოკეის ნაკრებს არაერთხელ მოუგია, მათ შორის შვედეთთან. აბორეთ ამ ტრადიციის გაგრძელებას? — ვიცი, რომ რუსულ პრესაში ბევრი იწერება, ჰოკეისტების, კალათბურთელებისა და სხვათა გამარჯვებაზე. ყურნალიცებს უყვართ ლამაზი ისტორიები. გვიხარია, რომ ესპანეთთან ნორმალურად ვითამაშეთ, მაგრამ იმ შემხვედრაში მინც ბევრი შეცდომა დაეშუთ და გულბურყვილოდ გამოვიყურებოდით. ბერძნებთან ბევრად უკეთ გავისარჯეთ და ორი შეხვედრის მერე მეთხედფინალში გასვლის რეალური შანსი კიდევ რომ გვაქვს, უკვე კარგია. გადახედეთ შვედეთის ნაკრების შემადგენლობას და ნახეთ, რომელ კლუბებში თამაშობდნენ და თამაშობენ მისი წევრები. ამ მაჩვენებლებს თუ რუსებისა შევადარებთ, ნათლად გამოჩნდება, რომ ფავორიტი ჩვენი მეტოქეა. თუმცა ჩვენ საბრძოლველად მზად ვართ და ვგუფიდან გასვლა გვინდა. გვსურს, შემტევი ფეხბურთი ვითამაშოთ, მაგრამ ამისთვის ჯერ დაცვაში საიმედოობა საჭირო. იმედაა, ბიჭებს პანიკა არ დაეწყებათ ბევრად უფრო ცნობილ მეტოქეებთან პაქრობისას.

euro_fan_2008@yahoo.com ჩვენ ერთი გუნდი ვართ — უს ჰოლანდიას ეკუთვნის

David Makhatadze: ჰოლანდიაზე ცოტა მეც მინდა ვთქვა. რაც ამ დღეებში ამ გუნდსა და მის თავკაცზე წერეს და ილაპარაკეს, მეონი, 1988-ის მერე, ერთად აღებუელი, ჯამში არ უთქვამთ. არადა, სათქმელი სულ იყო. ერთი რამ ჰალაღად მინდა ვთქვა. თუკი ვინმეს ვეულშემატკივრობდი (ბედკრული საქართველოს გარდა), ეს ჰოლანდია და ვან ბასტენი იყო. 1994-ის მერვედფინალი (ბრაზილიის მიერ თამაშვარეებით მოგებული მერვედფინალი), 1996-ის უფერულობა, 1998-ის ზღაპრული თამაშები (მარტო არგენტინასთან რად ღირდა ბერკამპი), მერე კი იყო ინერცია. ვან ბასტენს სულ სამი წელი ვეურე — 1992-დან 1995 წლამდე. მერე წავიდა ეს კაცი და დაივიწყეს კიდევ დაივიწყეს და თვითონაც არ შეუწუხებია თავი დიდად საზოგადოებაში ტრიალით. შარშან ჰოლანდიაში რომ ვიყავი, ვიო ახვლედიანს ვწერდი, იქნებ საიდანმე რამე საკონტაქტო გამიგოთ მაგ კაცის-მეთქი. ვერ გამიგეს და ვერც მე ვერ გავიგე ვერე ცხოვრობდა. ხო, უკვე თავკაცობდა ნაკრებს, მაგრამ მინც სადაც იყო, ჩუმად. თავის საქმეს აკეთებდა და კრუიფიც კი უკმაყოფილო იყო. თუ მაგარია, ჰოპლას რატომ არ იძახისო. ვან ბასტენი კი ფიქრობდა, თუ არ გადავხტი, ჰოპლა ვის ვუთხრაო. ხომ დაანერია ბუმბერაზები, აი, ნახევარფინალს რომ ვერ გასცდნენ, იცი რა დარჩება ამათვან? ის, რომ კლასიკურ ფეხბურთის თამაშობენ. ვერე მეონია, ის რაც დღევანდელ ევროპის ნაკრებებს აკლდათ, ესაა გინდ ტოტალური ებახეთ და გინდ მფრინავჰოლანდიური ლამაზი და ნამდვილი კია. რთული ხასიათი აქვსო. ტოპმოილერია სამაგიეროდ კარგი ხასიათის.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებაც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

მზიანობა



ბორის ბეკერი (ზედა მარცხენა კუთხეში) და ბასტიან შვაინსტაიგერი: ამათ კომპანიაში მოუხდა ავსტრიასთან მატჩის ყურება გერმანელთა მწვრთნელ იოახიმ ლიოვს, რაკიდა მსაჯმა მეზუტო გონსალესმა სათადარიგოთა სკამიდან გააძევა.

აბა, შეხედეთ გონსალესს — არ ჰგავს იმ არბიტრს, მწვრთნელის გაძევება რომ არ მოერიდება?..

ხოლო როდესაც ლიოვს აძევენდნენ, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს ავსტრიის ვიცე-კანცლერი და შინაგან საქმეთა მინისტრი მასპინძლობდნენ ტრიბუნაზე.

რას შეუჯგუფებია ჩვენსკენ ზურგით მდგარი ეს ხალხი? რა თქმა უნდა, ფეხბურთს. ესენი უბილეთო ზორვატები არიან, რომელი-ღაც მაღაზიის ვიტრინასთან გამოდგმულ ტელევიზორში რომ უცქერენ თავისი გუნდის მიჯრით მესამე გამარჯვებას, ხოლო ნამატ-ჩვეს სხვა ზორვატი ფანები გულებს შადრევანში იგრილებენ.



№21 ჰოლანდია 2:0 რუმინეთი

17 ივნისი, ბარნი (შპინცარია), „სტად დე სუისი“, 30 777 მაყურებელი

1:0 ჰუნტელარი (54), 2:0 ვან პერსი (87)

16 სტეკელენბურგი

მწვრთნელი
მარკო ვან ბასტენი

21 ბულარუზი 3 ჰეიტინგა 14 ბოუმა 15 დე კლერი

6 დე ზეუვი 8 ენგელარი

20 იფელი 7 ვან პერსი 11 რობენი

19 ჰუნტელარი

18 მ. ნიკულაე

10 მუტუ 16 ნიკოლიცა

5 კიევი 11 კოჩიში

8 კოდრეა

3 რაცი 14 გიონეა 4 ტამაში 2 კონტრა

მწვრთნელი

ვიქტორ პიკურკა

1 ლობონტი

შეცვლა: ბულარუზი - 12, მელხიოტი (58), მ. ნიკულაე - 21, დ. ნიკულაე (59), რობენი - 18, კეიტი (61), კოდრეა - 20, დიკა (72), ნიკოლიცა - 7, პეტრე (82), ჰუნტელარი - 22, ვენეგორ ოფ ჰესელინი (83)

მაფრთხილება: კიევი (78)

მსაჯები: მასიმო ბუზაჯა (შვეიცარია);
მატიას არნეტი (შვეიცარია), სტეფან ჟუა (შვეიცარია)

17	ჯარიმა	11
2	კუთხური	1
9	კარისკენ დარტყმა	7
5	კარში დარტყმა	2
2	თამაშვარე	5
37,13 წთ	ბურთის ფლობა	26,43 წთ
60%	ბურთის ფლობა	40%

306 რა თქვა

ვიქტორ პიკურკა: „ძალიან სამწუხაროა, ჩვენი მანსი რომ ვერ გამოვიყენეთ, არადა, პირველი ორი მატჩის მერე ჯგუფიდან გასვლის იტალიაზე მეტი მანსი გვქონდა. ჰოლანდიას ბრწყინვალე გუნდი ჰყავს და თამაშითაც გვაჯობა, ჩვენზე უფრო დასვენებულადაც გამოიყურებოდნენ“.

მარკო ვან ბასტენი: „ბრწყინვალეა! ჩვენ სამი დიდებული მატჩი ჩავატარეთ სხვადასხვა შემადგენლობით. ეს თამაში, მართალია, ცოტა მძიმედ დავიწყეთ, მაგრამ ნელ-ნელა მოვუმატეთ და მოვიგეთ. თითოეული ფეხბურთელის თამაშით უზომოდ კმაყოფილი ვარ. ეს გამარჯვება საკლებით დავიმსახურეთ, ჩვენი ძალაც გამოვჩინეთ და, რაც მთავარია, საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე ვირწმუნეთ“.

სხვებზე შეთანხმებულად ამ მატჩში ჯონ ჰეიტინგა და ვილფრედ ბოუმა თამაშობდნენ — პირველმა მეორეს 22 პასი მისცა, ხოლო პირიქით, ბოუმამ ჰეიტინგას — 21 პასი. პასების გაცემის რეკორდსმენი კი ასევე ჰოლანდიელი ორლანდო ენგელარი გახლდათ, ვინაც პარტნიორებს 81 პასი მისცა. სულ კი მატჩში 1040 პასი გაკეთდა, რომელთაგან 79 პროცენტი ზუსტი იყო. სხვებზე მეტჯერ ასევე ჰოლანდიელი იან კლასს ჰუნტელარი დაჯარიმდა (4), ხოლო, სხვებზე მეტად — სამ-სამჯერ — არიენ რობენს და კოზმინ კონტრას ეუხეშნენ. ვინც მეტ კუთხურს ელოდა, იმედგაცრუებული დარჩებოდა — სულ 3 კუთხური დაინიშნა. ჰოლანდიელთა ორივე კუთხური რობინ ვან პერსიმ ჩააწოდა, რუმინელთა ერთადერთი კი ფლორენტინ პეტრესია.

მოგეწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებაც წაიკითხავენ

ჰოლანდიის მეორე პირველის ტოლია

ჰოლანდია ჩემპიონატზე ორი ნაკრებით რომ გამოდიოდეს, ალბათ ერთმანეთს ფინალში შეხვდებოდნენ. სამ მატჩში ცხრა გოლი, ცხრა ქულა, საამო ფეხბურთი და ჯგუფში პირველი ადგილი. ესაა გუნდი, რომელშიც არიენ რობენს, რობინ ვან პერსის და კლას იან ჰუნტელარს სათადარიგოები ჰქვია. მარკო ვან ბასტენს მათზე „სუსტი“ აღარაინი ჰყავდა, რომ წუხელ რუმინეთთან გაეყვანა. ფრანგების მომგები შემადგენლობიდან ჰოლანდიელთა თავკაცმა ცხრა კაცი შეცვალა. ბულარუზის და ენგელარის გარდა, ყველა სათადარიგოდ ითვლება, მაგრამ ასეთებს ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებს გუნდში. რუმინეთს ფრეების თამაში რომ შესძლებია, იტალიასთან და საფრანგეთთან გამოჩნდა, ხოლო როცა

საქმე აუცილებლად მოსაგებ მატჩზე მიდგა, აქ უკვე დაამუხრუჭა და ჩვეულებრივი გუნდი აღმოჩნდა. ერთი კია, რომ იტალიელებით და ფრანგებით სამბურთიანი სხვაობით არ დამარცხდა, თუმც ეს საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ ჰოლანდიას გული მოეფხანა — ევრო 2008-ის შესარჩევში რუმინეთს ორ მატჩში გოლი ხომ ვერ გაუტანეს, მაგრამ აქ დააწიეს. რუმინელები მეტოქის ფეხებზე „დაჯდომას“ ცდილობდნენ და თავიდან შეძლეს კიდევ „ტიტებისთვის“ სივრცეების ამოკეტვა, მაგრამ ჰოლანდიელებმა მალე იპოვეს დერეფნები. ჯერ ვან პერსიმ სცადა თავურით გატანა, მერე ჰუნტელარმა ვერ დაუმიზნა კარს, მეკარესთან პირისპირ გასულმა რობენმა კი აცილება მოახერხა. მეორე ტაიმის დასაწყისში ისევ

ჰოლანდია ბზრიალებდა მეტოქის საჯარიმოში და ვან პერსის ლობონტმა აულო, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ რუმინელთა მეკარეს ჰუნტელარმა გაუტანა. აიაქსელმა ფლანგდან აფელაის ჩაწოდებული ბურთი შეაბრძანა ლობონტის კარში. გოლის გემო კიდევ უფრო ამხეცებს „ნარინჯისფერებს“ და სანამ მეორე არ შეაგდეს, არ მოისვენეს. აბა, რა უნდა ექნათ, ქომაგები რომ მიჩვიეს გოლს მატჩებს. გაორება კი ვან პერსიმ იკისრა თამაშის მიწურულს, ზედხედ მეორე შეხვედრაში გაიტანა და დუბლით სწიფდეს გაუტოლდა. ბოლოს კი ვიქტორ — ჰოლანდიელთა ცხრა გოლი შვიდი მოთამაშის ანგარიშზეა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ გუნდში ბიჭებს სამიზნეები გასწორებული აქვთ.

მატა ხუციშვილი



რობინ ვან პერსიმ რუმინელთა ბოლო იმედი დაისამარა

euro_fan_2008@yahoo.com

